უნივერსიტეტი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი

№4 (35) 2014

საგანმანათლებლო ინიციატივები საქართველოს პრემიერისგან

13 მარტს საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს შეხვდა და მათთვის საინტერესო თემებზე – საქართველოს საგარეო პოლიტიკურ კურსზე, ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ პრინციპებზე, ახალი ხელისუფლების მიღწევებზე, გასატარებელ რეფორმებზე ისაუბრა. აქვე პირველად გააჟღერა პრემიერმა საგანმანათლებლო სფეროში განსახორციელებელი ახალი ინიციატივები.

„სულ ცოტა ხნის წინ მეც ამ კედლებში ვსწავლობდი და, უნდა გამოგიტყდეთ, ცოტა ვღელავ კიდეც. სტუდენტები საზოგადოებრივად ყველაზე აქტიური ხალხი ხართ და სამართლიანობის განცდა, ინტერესი, კრიტიკული აზროვნება, უკომპრომისობა ყველაზე მეტად სწორედ თქვენ გახასიათებთ, სტუდენტებს. მეც ეს უნივერსიტეტი დავამთავრე

გაგრძელება მე-2 გვ.

თსუ რექტორის შეხვედრა სტუდენტებთან

27 მარტს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა აკადემიკოსმა ვლადიმერ პაპავამ სტუდენტებთან მეორე ღია შეხვედრა გამართა, მათ გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში ჩააბარა და ახალგაზრდების კითხვებსაც უპასუხა.

შეხვედრის დასაწყისში თსუ რექტორმა რამდენიმე თემაზე გაამახვილა ყურადღება:

უნივერსიტეტში სტუდენტებისთვის ერთ-ერთი მტკივნეული პრობლემა – რეგისტრაციასთან და ბაზებთან დაკავშირებით არსებული საკითხები, პრაქტიკულად, მოგვარებულია. 2014 წლის გაზაფხულის სემესტრის კურსებზე რეგისტრაციის დროს ამ მიმართულებით განსაკუთრებული შეფერხებები აღარ ყოფილა;

მნიშვნელოვანი სიახლეა ასევე სახელმძღვანელოების თარგმნისა და გამოცემის მიმართულებით – უნივერსიტეტმა 17 სახელმძღვანელოს თარგმნაზე და გამოცემაზე გააკეთა განაცხადი, საიდანაც 14-ზე უკვე მიღებულია თანხმობა; ასევე სექტემბრისთვის უნივერსიტეტი რობოტოსკანერის შეძენას გეგმავს, რაც ლიტერატურის ციფრულ მაგარებლებზე გადატანის საშუალებას მისცემს;

აღსანიშნავია თსუ აკადემიური საბ-

გაგრძელება მე-2 გვ.

თსუ კვლავ ლიდერია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი დაარსების დღიდან რჩება მთავარ სასწავლო და სამეცნიერო ცენტრად საქართველოში. ამის ერთ-ერთი დასტურია ის სტატისტიკა, რომელიც თსუ მეცნიერთა წარმატებებზე გვამცნობს როგორც ქართულ, ისე საერთაშორისო სამეცნიერო კონკურსებში. ასევე შთამბეჭდავია უნივერსიტეტში მიმდინარე სამეცნიერო პროექტებისა თუ უნივერსიტეტის მეცნიერთა მიერ გამოქვეყნებული სამეცნიერო სტატიების მონაცემები. დღეს ჩვენ ამ სტატისტიკური ინფორმაციის მხოლოდ ნაწილზე შევჩერდებით.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ამჟამად 168 ეროვნული და 45 საერთაშორისო სამეცნიერო პროექტი მიმდინარეობს;

2013 წელს თსუ-ში სამეცნიერო კვლევებზე გათვალისწინებული იყო 23, 8 მილიონი ლარი, რაც მთლიანი ბიუჯეტის 35,8 პროცენტს შეადგენს. მათ შორის საერთაშორისო და ეროვნული ფონდებიდან მოზიდულია 11 649 257 ლარი; ამჟამად გამარჯვებული პროექტების საერთო ღირებულებაა 7996411 ლარი;

2013 წელს თსუ-ში დაცულია 45 სადოქტორო ნაშრომი; ტომსონის ბაზის მონაცემებით,

გაგრძელება მე-2 გვ.

უნივერსიტეტს თავისი კლინიკა ექნება

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს უკვე სერიოზული წინაპირობა აქვს თავისი საუნივერსიტეტო კლინიკის შესაქმნელად. 2014 წლის თებერვალში თსუ-ს თბილისის ცენტრში, კონსტიტუციის ქუჩაზე მდებარე კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს კუთვნილი შენობა (ყოფილი მე-7 საავადმყოფო) გადმოეცა.

თსუ მედიცინის ფაკულტეტის წარმომადგენლების აზრით, საუნივერსიტეტო კლინიკის არსებობა სტუდენტების პროფესიონალ ექიმებად ჩამოსაყალიბებლად საუკეთესო საშუალებაა. როგორც თსუ მედიცინის ფაკულტეტის დეკანი, ნევროლოგიის პროფესორი ალექსანდრე ცისკარიძე აცხადებს, საუნივერსიტეტო კლინიკის სრული დატვირთვით ამუშავება რამდენიმეწლიანი პროცესია, შესაბამისად, იმ სიმძლავრეებზე საუბარი, რომელზეც კლინიკა უნდა გავიდეს, ჯერ-ჯერობით, ნაადრევია. ამ დროისთვის ცნობილი ის არის, რომ მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის, პრაქტიკის გარდა, აქ თსუ თანამშრომლების სამედიცინო მომსახურებაშეც უნდა იყოს გათვალისწინებული გარკვეული შეღავათები.

როგორც თსუ მედიცინის ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ქირურგიის დეპარტამენტის პროფესორი, საქართველოს ექიმთა ასოციაციის თავმჯდომარე გიორგი ლობჟანიძე აცხადებს: "საზღვარგარეთის გამოცდილებაც ცხადყოფს, რომ იმ პაციენტების რაოდენობა, ვინც მათთან მიმართებაში სტუდენტების მიერ მანიპულაციების ჩაატარებას თანხმდება, ძალზე ცოტაა. საუნივერსიტეტო კლინიკაში, სხვა კლინიკებისგან განსხვავებით, ძირითადად პროფესურა მუშაობს – უფრო ზუსტად, აკადემიური პერსონალი და სტუდენტები, რეზიდენტები, დოქტორანტები. აკადემიურ წრესა და პაციენტს შორის სხვა რგოლი არ არსებობს. „საქართველოს ექიმითა ასოციაციამ" თსუ მედიცინის ფაკულტეტისათვის კლინიკისთვის შესაბამისი შენობის გადმოსაცემად მოლაპარაკებები დაახლოებით სამი წელის წინ დაიწყო. ამ პროცესში აქტიურად იყვნენ ჩართული თსუ მედიცინის ფაკულტეტი, უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა და თითოეული შესაბამისი სამსახური. პროცესის წარმატებით დასრულება თსუ ახალი ხელმძღვანელობის ძალისხმევით გახდა შესაძლებელი".

გაგრძელება მე-2 გვ.

ჟურნალის „თსუ მეცნიერება" №5 პრეზენტაცია

თსუ-ში სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალის „თსუ მეცნიერება" მეხუთე ნომრის პრეზენტაცია გაიმართა. ჟურნალი პოპულარულ ენაზე ასახავს თსუ-ში მიმდინარე საერთაშორისო მასშტაბების კვლევებს.

გვ. 3

თსუ რექტორის პირველი სტიპენდიატი

ზუსტ და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტი მარიამ გულბიანი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის ვლადიმერ პაპავას პირველი სტიპენდიატი გახდა.

გვ. 4

ლაშა მითიაშვილმა ოთარ ჩხეიძის სახელობის სტიპენდია მოიპოვა

ოთარ ჩხეიძის სახელობის სტიპენდია 2014 წელს თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფილოსოფიის სამაგისტრო პროგრამის მაგისტრანტმა ლაშა მათიაშვილმა მოიპოვა. გადაწყვეტილება სტიპენდიის მიმნიჭებელმა კომისიამ 5 მარტს გამართულ სხდომაზე ხმათა უმრავლესობით მიიღო.

გვ. 4

პორტუგალიური ენისა და კულტურის ცენტრი თსუ-ში

პორტუგალიური ენის კურსები თსუ-ში ჯერ კიდევ გასული წლის ბოლოს დაიწყო. მასზე თსუ სტუდენტები, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის წარმომადგენლები მიიღებიან. კურსს 2013 წლიდან თსუ კამოეშის ცენტრის ხელმძღვანელი, პორტუგალიელი პროფესორი ვერა პეიშოტო უძღვება.

გვ. 3

სიახლეები

* * *

3 მარტს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა ტემპუსის პროექტის SSRULLI (Strengthening the Specific Role of Universities as Lifelong Learning Institutions/უნივერსიტეტების, როგორც უწყვეტი განათლების ინსტიტუციების როლის გაძლიერება) პირველი საერთაშორისო სამუშო შეხვედრა. შეხვედრაში მონაწილეობას მიიღეს პარტნიორი უნივერსიტეტებისა და ორგანიზაციების წარმომადგენლებმა საქართველოდან, ავსტრიიდან, გერმანიიდან, ესტონეთიდან, აზერბაიჯანიდან და სომხეთიდან.

SSRULLI ორი წლის განმავლობაში განხორციელდება და პარტნიორ უნივერსიტეტებში უწყვეტი განათლების სისტემის განვითარებას და შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნას ითვალისწინებს. პროექტის ფარგლებში შემუშავდება საუნივერსიტეტო სტრატეგიები და რეგიონული რეკომენდაციები საუნივერსიტეტო უწყვეტი განათლების შესახებ. ყოველ პარტნიორ უნივერსიტეტში შეიქმნება და დაინერგება მინიმუმ ერთი უწყვეტი განათლების კურსი. ასევე შეიქმნება საუნივერსიტეტო უწყვეტი განათლების რეგიონული ქსელი, რომლის მიზანიც პარტნიორ უნივერსიტეტებში უწყვეტი განათლების შემდგომი განვითარების ხელშეწყობა იქნება.

* * *

4 მარტს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მუზეუმის გალერეაში გაიმართა თსუ პედაგოგების და მხატვარ ქალთა საერთაშორისო ორგანიზაცია „ფემინ არტის“ საქართველოს ფილიალის წევრების ნამუშევრების გამოფენა.

გამოფენაზე, რომელიც ქალთა საერთაშორისო დღეს მიეძღვნა, წარმოდგენილი იყო 60-მდე ნამუშევარი - ფერწერა, გრაფიკა, გობელენი. ღონისძიების ფარგლებში თსუ ხელოვნების მიმართულების პედაგოგებმა მოაწყეს მასტერ-კლასი.

* * *

5 მარტს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიას შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. ხელშეკრულებას თსუ რექტორმა, აკადემიკოსმა ვლადემერ პაპავამ და ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის აღმასრულებელმა დირექტორმა თამარ რუხაძემ მოაწერეს ხელი.

მემორანდუმის ფარგლებში, უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების სტუდენტები თეორიულ ცოდნას და პრაქტიკულ გამოცდილებას გაიღრმავებენ. მომავალ ჟურნალისტებს შესაძლებლობა ექნებათ ჩაერთონ და აქტიური მონაწილეობა მიიღონ ქარტიის მიერ დაგეგმილ ღონისძიებებში, მიიღონ ნებისმიერი კონსულტაცია და დახმარება ქარტიისა მანდატისა და უფლებამოსილების ფარგლებში. უნივერსიტეტი, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს სტუდენტებისა და ქარტიის თანამშრომლობას, შეხვედრებს, დისკუსიებს.

* * *

6 მარტს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა სემინარი პროექტის „ევროკავშირი-საქართველო – ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცე: აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონული სავაჭრო ურთიერთობების მოდელი“ შესახებ.

პროექტი „გაიცანი და გააცანი DCFTA“ ევროკავშირთან ღრმა და თავისუფალი ვაჭრობის სივრცის შესახებ შეთანხმების ცნობადობის ამაღლებისა და პოპულარიზაციის ფარგლებში მიმდინარეობს. პროექტი საქართველოში ნიდერლანდების სამეფოს საელჩოს ინიციატივით და საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის პარტნიორობით ხორციელდება.

სემინარი ნიდერლანდების სამეფოს საელჩოსა და ევროკავშირის წარმომადგენლობამ ექსპერტებმა ჩაატარეს. სემინარის ფარგლებში სტუდენტებს მიეწოდათ ვრცელი ინფორმაცია DCFTA-ს სტრატეგიული მნიშვნელობის შესახებ.

* * *

6 მარტს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლიტიკური დეპარტამენტის დირექტორმა იაროსლავ ბრათკიევიჩმა და ესპანეთის სამეფოს საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლიტიკური დეპარტამენტის დირექტორმა იგნასიო იბანიეს რუბიომ გამართეს საჯარო ლექცია თემაზე „როგორ გვესმის პოლიტიკაში კომპრომისების ხელოვნება“.

* * *

6 მარტს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში უნივერსიტეტელის, მთამსვლელისა და პედაგოგის, ვახო აბაიშვილის მხარდამჭერი საქველმოქმედო საღამო გაიმართა. ღონისძიებაზე ყველა მსურველს ჰქონდა შესაძლებლობა გაეცა სასურველი რაოდენობის თანხა და მიეღო მონაწილეობა აუქციონში, რომელზეც წარმოდგენილი იყო სხვადასხვა ავტორის წიგნები, ნახატები და ფოტოები. ღონისძიება ბიბლიოთეკასთან არსებული კლუბი 93–ე აუდიტორიისა და თინათინ მოსიაშვილის ორგანიზებით ჩატარდა.

* * *

7 მარტს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა შეხვედრა აღმოსავლეთ ევროპის პარტნიორობის ელჩებთან: ვაიდოტას ვერბა (ლიტვა), მარტინ ჰაგსტრომი (შვედეთი), სერგე სმესოვი (საფრანგეთი), რუსო რაზვანი (რუმინეთი). ღონისძიებას თსუ აკადემიური წრეების წარმომადგენლები დაესწრნენ. შეხვედრაზე განიხილეს აღმოსავლეთ ევროპის პატრიორობის სამომავლო გეგმები და პერსპექტივები.

* * *

10 მარტს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ლევან ბერძენიშვილის საჯარო ლექცია „წიგნიერების მნიშვნელობა თანამედროვე სამყაროში“ გაიმართა. ღონისძიებაზე ახალი სტუდენტური პროექტის „თაობა L“-ის პრეზენტაციაც ჩატარდა. პროექტი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს ეკუთვნით და მას უნივერსიტეტი და გამომცემლობა „პალიტრა L“ ერთობლივად განახორციელებენ.

პროექტის მიზანია ახალგაზრდების წიგნიერების ხელშეწყობა და კონკურსის ფორმით სტუდენტებისთვის მეტი მხატვრული ლიტერატურის შეთავაზება.

* * *

10 მარტს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ტემპუსის საქართველოს ეროვნული ოფისის ორგანიზებით გაიმართა საინფორმაციო სემინარი Erasmus + საგრანტო პროგრამის შესახებ. Erasmus + საგრანტო პროგრამა ჩაანაცვლებს აქამდე არსებულ პროგრამებს.

ევროკავშირის ახალი საგრანტო პროგრამა რასმუს+ 2014 წელს ჩაანაცვლებს აქამდე არსებულ პროგრამებს თემპუს და რასმუს უნდუს.

მეოთხე გვერდზე

საგანმანათლებლო ინიციატივები საქართველოს პრემიერისგან

პირველი გვერდიდან

და აქ მოსვლას ჩემთვის ორმაგი და ემოციური დატვირთვა აქვს. საუკეთესო წლები ამ შენობაში გავატარე. ჩემი მიზანი იყო ჩემს უნივერსიტეტში მოვსულიყავი და თქვენთვის პირველებისთვის მეთქვა სიახლეებზე განათლების სფეროში“, – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა.

შეხვედრაზე პრემიერმა ირაკლი ღარიბაშვილმა თსუ სტუდენტებს განათლების სფეროში განსახორციელებელი სამი ახალი ინიციატივა გააცნო:

საერთაშორისო განათლების ცენტრის შექმნა – „ცენტრი განახორციელებს იმ პროექტებს, რომელთაც აქამდე განათლების სამინისტრო ახორციელებდა – სახელმწიფო დააფინანსებს საზღვარგარეთ პროფესიული ცოდნის ამაღლების მსურველებს სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებზე სწავლისთვის. პირველ რიგში დაფინანასდება ის მიმართულებები, რომლის დეფიციტიც დღეს ჩვენს ქვეყანაშია“. – აღნიშნა მან.

სტუდენტებისთვის საერთო საცხოვრებლების მშენებლობა „პრემიერის კიდევ ერთი ინიციატივაა: „იმისათვის, რომ განათლება ყველასთვის ხელმისაწვდომი გახდეს, ჩვენ გადავწყვიტეთ, ავაშენოთ სტუდენტთა საცხოვრებელი რეგიონებიდან ჩამოსული სოციალურად დაუცველი სტუდენტებისთვის. საერთო საცხოვრებელი აღიჭურვება ყველა საჭირო ინვენტარით და შეიქმნება ყველა აუცილებელი პირობა, რათა სტუდენტებს საკუთარი ნიჭის რეალიზაციის საშუალება ჰქონდეთ. არცერთ მშობელს აღარ უნდა ეშინოდეს, რომ მის შვილს განათლების პერსპექტივა არ ექნება“. – აცნობა პრემიერმა დამსწრე საზოგადოებას.

წარჩინებულ სტუდენტთა სახელმწიფო სექტორში სტაჟირება – „წარჩინებულ სტუდენტებს საშუალება ექნებათ 6 თვის განმავლობაში იმუშაონ სახელმწიფო სტრუქტურებში. სტაჟიორების აყვანა მოხდება აკადემიური მოსწრებისა და რიგითობის მიხედვით. სტაჟირების წარმატებით დასრულების შემდეგ სტაჟიორი მიიღებს სათანადო სერტიფიკატს,“- განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა თსუ სტუდენტებს პრემიერის ფეისბუკის გვერდზე აქტიურობისკენ მოუწოდა-სპეციალური აპლიკაცია „ახალი თაობის იდეა პრემიერს“ ახალგაზრდობას პრემიერთან კომუნიკაციის მოხერხებულ საშუალებას სთავაზობს.

პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა თსუ სტუდენტთა შეკითხვებს უპასუხა. კითხვების უმრავლესობა დოქტორანტურისა და პოსტდოქტორანტურის დაფინანსებას, ახალგაზრდა მკვლევარ-მეცნიერთა საქმიანობის ხელის შეწყობას, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების შენარჩუნება-განვითარებას, საყდრისის მაღაროს, ხუდონჰესის, კაზრეთის პრობლემებს, პრემიერის ამერიკის შეერთებულ შტატებში ვიზიტს და საგარეო-ეკონომიკურ პერსპექტივებს შეეხო.

შეხვედრის ბოლოს თსუ რექტორმა ვლადიმერ პაპავამ განაცხადა, რომ „პრემიერმა აჩვენა რომ ის არის ღია, ის არ უფრთხის არცერთ რთულ კითხვას; ასევე აჩვენა, რომ ის არის ჩვეულებრივი ადამიანი და მას შეიძლება ყველა კითხვაზე ამომწურავი პასუხი არ ჰქონდეს. სწორედ ეს არის პლუსი, რომ ადამიანებმა დაინახონ, რომ დღეს ქვეყანაში მთავრობას ხელმძღვანელობს პირი, რომელიც არის უშუალო, დაახლოებული სტუდენტებთან.“ თსუ რექტორმა ვლადიმერ პაპავამ პრემიერ-მინისტრს ირაკლი ღარიბაშვილს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედალი გადასცა.

თსუ რექტორის შეხვედრა სტუდენტებთან

პირველი გვერდიდან

ჭოს გადაწყვეტილებაც, რომლის თანახმადაც ყველა ფაკულტეტზე სტუდენტთა სამეცნიერო წრეები ჩამოყალიბდება. დაგეგმილია ფაკულტეტთაშორისი სამეცნიერო წრეების შექმნაც, რაც სტუდენტებს ერთობლივი კვლევების წარმოების საშუალებასაც მისცემს;

2014 წლის აპრილიდან (23-25 აპრილს) უნივერსიტეტში ახალი მასშტაბური სამეცნიერო კონფერენციის ტრადიციაც დამკვიდრდება – ჯავახიშვილის ფორუმში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა ექნებათ როგორც თსუ მკვლევრებს, ასევე სამივე საფეხურის სტუდენტებს; გამარჯვებულებისთვის კი სოლიდური ჯილდო დაწესდება, რაც მონაწილეთათვის დამატებითი სტიმული იქნება;

2014 წლის სექტემბრიდან უნივერსიტეტში ამოქმედდება პოსტდოქტორანტურის ინსტიტუტი; ამჟამად უნივერსიტეტში მუშაობა მიმდინარეობს ასისტენტის სტატუსზე, რათა ამ სტუატუსის მოსაპოვებლადაც გამოცხადდეს კონკურსები ვაკანსიებზე;

დასრულდა რამდენიმეთვიანი მოლაპარაკება თსუ-ს სამედიცინო კლინიკისთვის შენობის გადმოცემის შესახებ; რექტორის ვარაუდით, მისი გარემონტება და აღჭურვა დაახლოებით 1,5 -2 წელიწადში შეიძლება მოხერხდეს;

მიმდინარეობს მუშაობა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან სხვადასხვა მიმართულებით. მათ შორის აღსანიშნავია შეთანხმება კავკასიოლოგიისა და არმენოლოგიის მიმართულებების სრულ დაფინანსებასთან დაკავშირებით; სამწუხაროდ ამ ეტაპზე რამდენიმე სხვა მიმართულებაზე მოლაპარაკება ვერ მოხერხდა, თუმცა, როგორც თსუ რექტორი ამბობს, მუშაობა გრძელდება; საუბარია ასევე უნივერსიტეტის საბაზო დაფინანსების აუცილებლობაზე, რის გარეშეც უნივერსიტეტის სრულფასოვანი ფუნქციონირება გაძნელებულია;

თსუ რექტორმა სტუდენტებს აცნობა, რომ სამინისტროში წარდგენილია თსუ მესამე კორპუსის რეკონსტრუქციის გეგმა; ასევე გააცნო ახალი პროექტი, რომელიც მაღლივი კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე უნივერსიტეტის გაცვლითი სტუდენტებისა და პროფესორების, ასევე სტუმრებისთვის 100 ადგილიანი საცხოვრებლის მშენებლობას გულისხმობს. აქვე ვლადიმერ პაპავამ განმარტა, რომ პროექტი თსუ ბიუჯეტიდან დაფინანსებას არ გულისხმობს.

განმარტებები გააკეთა რექტორმა თსუ პირველ კორპუსში გახსნილ წიგნის მაღაზიასა და მაღლივ კორპუსში სასადილოს დახურვის ფაქტთან დაკავშირებით; ისაუბრა პრობლემებზე, რომლებიც ამ მიმართულებით გამოიკვეთა.

შეხვედრის დიდი ნაწილი სტუდენტთა შეკითხვებზე პასუხს დაეთმო. სტუდენტებმა საკითხთა და პრობლემათა ფართო სპექტრზე გაამახვილეს ყურადღება: სასწავლო კორპუსებში სველი წერტილების მდგომარეობიდან დაწყებული, პროფესორთა კვალიფიკაციითა და კომპეტენციით დამთავრებული.

ტრადიციისამებრ, ძირითადად სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტები აქტიურობდნენ. მათი თქმით, ფაკულტეტის მთავარი პრობლემა დეკანის გაჭიანურებული არჩევნებია. თუმცა, სტუდენტებმა პრეტენზიები აკადემიურ თანამდებობებზე ჩატარებული საკონკურსო კომისიების დაკომპლექტების წესზე, დოქტორანტურის დაფინანსებაზე, ლექტორების კვალიფიკაციის განსაზღვრაზე, სილაბუსების ხელმისაწვდომობაზე, სხვადასხვა სტუდენტური ჯგუფების საქმიანობაზე, სტუდენტურ პროექტებზე, უნივერსიტეტის ადმინისტრაციაში ბიუროკრატიის შემცირებაზე გამოთქვეს. თსუ რექტორმა გამორიცხა პოლიტიკური ნიშნით კადრების შერჩევა: „ყველას აქვს უფლება იყოს ამა თუ იმ პოლიტიკური ძალის მხარდამჭერი. მაგრამ ეს ხელს არ უნდა უშლიდეს უნივერსიტეტში სასწავლო-სამეცნიერო პროცესს. სხვა მხრივ, პოლიტიკური ნიშნით კადრების შერჩევის წინააღმდეგი ვარ.“

თსუ რექტორმა და ფაკულტეტების წარმომადგენლებმა პასუხი გასცეს სტუდენტთა კითხვებს. შეხვედრის მსვლელობისას რამდენიმე საკითხზე შეთანხმებაც შედგა. შეხვედრის დასასრულს თსუ რექტორმა აღნიშნა, რომ მსგავსი შეხვედრები პერიოდულად გაიმართება: „უნივერსიტეტი გარკვეული ამოცანების და პრობლემების წინაშეა. მე მაინტერესებს თქვენი წინადადებები, თქვენი თვალით დავინახო ეს პრობლემები. ის ვალდებულებები, რომელიც მე წინასაარჩევნო პერიოდში ავიღე, აუცილებლად უნდა შევასრულო. მე მჭირდება თქვენგან რეკომენდაციები, შენიშვნები, წინადადებები, რათა პრობლემას სხვადასხვა მხრიდან შევხედოთ. ეს დაგვეხმარება მათ მოგვარებაში.“

თსუ კვლავ ლიდერია

პირველი გვერდიდან

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან მაღალრეიტინგულ/იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალში გამოქვეყნდა 354 პუბლიკაცია;

ვფიქრობთ, ამ ინფორმაციის უკეთ აღსაქმელად საინტერესო იქნება ცალკეული კონკურსების მიხედვით თსუ-სა და სხვა მონაწილეების მიერ მოპოვებული წარმატების შედარებითი ანალიზიც, რომელიც, უკვე ტრადიციულად, თსუ-ს სასარგებლოდ მეტყველებს, კერძოდ: შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო საგრანტო კონკურსებში შედეგების თანახმად:

ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსში დაფინანსებული 86 პროექტიდან 33 გრანტი (37 %) თსუ-ს წარმომადგენლებმა მოიპოვეს. კონკურსის შედეგად სტუ-ს დაუფინანსდა 12 პროექტი, ილიაუნის – 8 პროექტი, საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტს – 6 პროექტი და სხვა.

გამოყენებითი კვლევებისთვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსში 23 გამარჯვებული პროექტიდან თსუ-ს 9 პროექტი (33%) დაფინანსდა.

საქართველოს აგრარულმა უნივერსიტეტმა კონკურსის შედეგად 6 გრანტი მოიპოვა, სტუ-მ – 6 გრანტი და სხვა.

„უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევებისთვის“ სახელმწიფო გრანტების კონკურსის შედეგად დაფინანსებული 12 პროექტიდან თსუ-დან წარდგენილმა 7-მა პროექტმა გაიმარჯვა.

სამეცნიერო აპარატურის შესყიდვის კონკურსში გამარჯვებული 20 პროექტიდან თსუ-დან გაიმარჯვა 6-მა +1 თსუ თანამონაწილეობით შესრულებულმა პროექტმა.

საზღვარგარეთ არსებული ქართული მატერიალური და სულიერი მემკვიდრეობის სამეცნიერო კვლევისათვის 2013 წლის სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსში წარდგენილი 32 განაცხადიდან გაიმარჯვა 11-მა, საიდანაც 2 თსუ-ს პროექტი იყო.

2013 წლის სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსში „ქართული ელექტრონული ლექსიკონები“ წარდგენილი 59 განაცხადიდან გაიმარჯვა 4-მა პროექტმა აქედან 1-მა – თსუ-დან.

საკონფერენციო გრანტების კონკურსზე სულ წარდგენილი იყო 65 განაცხადი, აქედან 14 პროექტი თსუ-დან. სულ დაფინანსდა 31 პროექტი, აქედან 11 – თსუ-დან.

გამოყენებითი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების 2013 წლის კონკურსი



“უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევებისათვის” სახელმწიფო გრანტების 2013 წლის კონკურსის შედეგები

სულ წარდგენილი იყო
43 პროექტი
თსუ-დან
17 პროექტი
დაფინანსდა
სულ 12 პროექტი
თსუ-დან
7 პროექტი



ქურნალის „თსუ მეცნიერება“ №5 პრეზენტაცია

5 მარტს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალის „თსუ მეცნიერება“ მეხუთე ნომრის პრეზენტაცია გაიმართა. ჟურნალი პოპულარულ ენაზე ასახავს თსუ-ში მიმდინარე საერთაშორისო მასშტაბების კვლევებს. აქ ნახავთ მასალებს სოციალურ, ჰუმანიტარულ, ზუსტ და საბუნებისმეტყველო, სამართლის, ეკონომიკის თემებზე უნივერსიტეტში მიმდინარე სამეცნიერო კვლევების შესახებ. ჟურნალის მეხუთე ნომერში საუბარია ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: ქართველი მამლუქები ეგვიპტეში და ქართული სამონასტრო თემი პალესტინაში; პლატონური ტრადიციები და საქართველო; ეთნოლოგიის სიახლეები; საქართველოს სასკოლო განათლება გამოწვევების წინაშე; ემოციური ინტელექტის ცნება და კვლევები საქართველოში; სოციალური მედიის განვითარების ტენდენციები საქართველოს მაგალითზე; ღაზერული თერმობირთვული სინთეზი; ორგანოების რეგენერაციის საკითხები; ტყიბულ-შაორის საბადოს პერსპექტივები; ამერიკული გამოცდილება ქართული ტურიზმის განვითარებისთვის; სასურსათო უსაფრთხოების საკითხები; სოციალური მარკეტინგის გამოწვევები; სამართლის პრაქტიკული ყოფიერების შესწავლა; ჰიპერთერმია – ონკოლოგიურ მეცნიერებებთან ბრძოლის ახალი მეთოდი; გულის კუნთის დაზიანების განკურნება; მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტი გამოწვევების წინაშე; თსუ ვახუშტი ბაგრატონის გეოგრაფიის ინსტიტუტის დღევანდელი დღე და ა.შ.

„თსუ მეცნიერება“ ორენოვანია (ქართულ-ინგლისური) და წელიწადში ორჯერ გამოდის. მისი მიზანია თსუ-ში მიმდინარე სამეცნიერო კვლევების შესახებ ინფორმაცია როგორც სამეცნიერო წრეების წარმომადგენლებს, ასევე ფართო საზოგადოებას მიაწოდოს. ჟურნალში ასახული ყველა კვლევა საერთაშორისოდ აღიარებულია – მოპოვებული აქვს საერთაშორისო გრანტი, ჰყავს უცხოელი პარტნიორები ან წარდგენილია საერთაშორისო კონფერენციაზე.

პორტუგალიური ენისა და კულტურის ცენტრი თსუ-ში

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და კამოეშის ინსტიტუტს შორის თანამშრომლობის ოქმს 2012 წლის 19 ოქტომბერს მოეწერა ხელი. მისი მიზანია ორ ქვეყანას შორის კულტურულ-საგანმანათლებლო ურთიერთობების გაღრმავება, კერძოდ კი, პორტუგალიური ენის და კულტურის პოპულარიზაციის პროცესის ხელშეწყობა საქართველოში.

პორტუგალიური ენის კურსები თსუ-ში ჯერ კიდევ გასული წლის ბოლოს დაიწყო. მასზე მხოლოდ თსუ სტუდენტები, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის წარმომადგენლები მიიღებიან. კურსს 2013 წლიდან თსუ კამოეშის ცენტრის ხელმძღვანელი, პორტუგალიელი პროფესორი ვერა პეიშოტო უძღვება. სამუშაო ენა ინგლისურია, სწავლება კი უფასოა. კურსის გავლის შემდეგ შესაბამისი სერტიფიკატი გაიცემა. ისწავლება, როგორც ევროპული პორტუგალიური, ისე ბრაზილიური პორტუგალიური ენები. ცნობისათვის, იმის გამო, რომ სახელმძღვანელოები სტუდენტებისთვის საკმაოდ ძვირი ჯდებოდა, ბეჭდური თუ ციფრული სასწავლო მასალებით მოსწავლეების უსასყიდლოდ უზრუნველყოფა თავად კაბინეტმა ითავა.

2014 წლისთვის თსუ-ში პორტუგალიურ ენას უკვე 70-მდე ადამიანი სწავლობს. როგორც კაბინეტის ხელმძღვანელი ვერა პეიშოტო აცხადებს, მსურველთა დიდი რაოდენობის მიუხედავად, კურსის 1 ეტაპის დასრულება საბოლოოდ 50-მდე მსმენელმა შეძლო. პროცენტულად მოსწავლეთა ძირითადი რაოდენობა იურიდიული და ჰუმანიტარული ფაკულტეტის სტუდენტებზე მოდის. გაკვეთილები კვირაში ორჯერ, 2 საათის განმავლობაში, ძირითადად საღამოს საათებში ტარდება. ვერა პეიშოტო აცხადებს, რომ უახლოეს მომავალში, შესაძლოა, პორტუგალიური ენით დაინტერესებულ თსუ სტუდენტებს კაბინეტის მიერ ორგანიზებული გაკვეთილები კრედიტად ჩაეთვალოთ.

თსუ-ში გახსნილი პორტუგალიური ენისა და კულტურის ცენტრი მხოლოდ პორტუგალიური ენის სწავლებით როდი იფარგლება. ხელმძღვანელთან ერთად სხვადასხვა სახის ღონისძიებებში ცენტრის ქართველი კოორდინატორი თენგიზ ბუაჩიძე არის ჩართული. პორტუგალიური კულტურის პოპულარიზაციის მიზნით ცენტრმა, საქართველოში ბრაზილიის საელჩოსთან ერთად, თსუ-ში უკვე მოაწყო კინოჩვენება. სამომავლოდ ასევე იგეგმება სხვადასხვა სახის კულტურული ღონისძიებები, მათ შორის - 25 აპრილს პორტუგალიაში დიქტატურის დამხობის იუბილესთან დაკავშირებით. ცენტრი დაინტერესებულ პირებს სთავაზობს დამატებითი ინფორმაციის მისაღებად ბლოგს და ფეისბუქის გვერდს: portugueseattsu.wordpress.com; facebook.com/portugueseattsu ეწვიონ.

უნივერსიტეტს თავისი კლინიკა ექნება

პირველი გვერდიდან

მედიცინის ფაკულტეტის დეკანის განმარტებით, საუნივერსიტეტო კლინიკაში აქცენტი თერაპიის და ქირურგიის დისციპლინებზე გაკეთდება. კლინიკის კონკრეტული სერვისების და საჭიროებების განსაზღვრა სამუშაო პროცესში მოხდება. საუბარია როგორც ამბულატორული, ისე სტაციონარული და დიაგნოსტიკური ხასიათის სერვისებზე.

“წინასწარ რაიმეს დეტალიზირება ალბათ ნაკლებად სწორი იქნება. კლინიკის სრულ ამოქმედებამდე მას სერიოზული განახლება სჭირდება. ჩასატარებელია მნიშვნელოვანი სამშენებლო და სარემონტო სამუშაოები. საჭიროა შენობის თანამედროვე სამკურნალო და დიაგნოსტიკური ტექნოლოგიებით აღჭურვა, რის შემდეგაც ამუშავდება სხვადასხვა სამედიცინო სერვისები და დაიწყება ჩვენი სტუდენტების კლინიკური სწავლება. რაც შეეხება კლინიკის პაციენტთა კონტიგენტს, ეს იქნება მრავალპროფილიანი კლინიკების ტიპური კონტიგენტი, – განმარტავს ალექსანდრე ცისკარიძე.

ფაკულტეტის დეკანი, უცხოელ პარტნიორებთან კარგი კონტაქტებიდან გამომდინარე, კლინიკაში, გამოცდილების გასაზიარებლად, დასავლეთ ევროპის და აშშ-ის წამყვანი კლინიკური ცენტრების სპეციალისტების მოწვევასაც გეგმავს. ამგვარი პრაქტიკა, მისი შეფასებით, დაეხმარება როგორც სერვისის ხარისხის, ისე სწავლების დონის ამაღლებას.

პროფესორი გიორგი ლობჟანიძე, თავის მხრივ, აცხადებს, რომ საუნივერსიტეტო კლინიკის მოწყობის საკითხზე მუშაობაში მას “საქართველოს ექიმთა ასოციაციის თავმჯდომარის” სტატუსიც ეხმარება. ამ დროისთვის მასთან საუბარში, საუნივერსიტეტო კლინიკის აღჭურვის მხრივ, სურვილი ბერლინის, მიუნხენის, საარბრიუკენის 9 კლინიკამ, ისრაელის ექიმთა ასოციაციამ და ამერიკელმა პარტნიორებმა გამოთქვეს.

სიახლეები

მეორე გვერდიდან

საინფორმაციო სემინარის მიზანი იყო საქართველოს უნივერსიტეტების წარმომადგენლებს გააცნოს ახალი პროგრამის დეტალები.

* * *

18 მარტს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საუნივერსიტეტო მაღაზია გაიხსნა.

თსუ პირველ და მეათე (მაღლივ) კორპუსებში განთავსებულ მაღაზიებში თსუ-ს და სხვა გამომცემლობების წიგნები, აგრეთვე, საუნივერსიტეტო ატრიბუტიკა გაიყიდება.

* * *

18 მარტს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებულ კონკურსში "ქართული კალიგრაფია" ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა თავისი რჩეულები გამოავლინა. ორ გამარჯვებულს, ნინო ჩხვიმიანსა და ლექსო ყულიშვილს სერტიფიკატი და სამახსოვრო საჩუქრები თსუ რექტორმა, აკადემიკოსმა ვლადიმერ პაპავამ გადასცა. ღონისძიების ფარგლებში გაიმართა ნამუშევრების გამოფენა.

* * *

18 მარტს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს პოლონური უნივერსიტეტის - ევროკოლეჯის (ვარშავა) სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები ეწვივნენ.

შეხვედრაზე სახელმწიფო მინისტრმა ალექსი პეტრიაშვილმა პოლონელი სტუმრებისთვის წაიკითხა საჯარო ლექცია, ისაუბრა საქართველოს საგარეო პოლიტიკაზე, ჩვენი ქვეყნის ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციაზე, უკრაინაში მიმდინარე მოვლენებზე.

ევროკოლეჯმა თსუ სტუდენტებისთვის დააწესა 10 სტიპენდია ეკონომიკის, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა და იურიდიული ფაკულტეტების ევროპათმცოდნეობის მიმართულებების სტუდენტებისთვის.

* * *

18 მარტს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და საქართველოს პარლამენტთან არსებულ ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოს შორის თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. ხელშეკრულებას თსუ რექტორმა, აკადემიკოსმა ვლადიმერ პაპავამ და ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ ელდარ შენგელაიამ მოაწერეს ხელი.

მემორანდუმის თანახმად, მხარეები ერთმანეთში გაცვლიან ინფორმაციას და საჭირო მასალებს, ყველა საინტერესო სიახლეს დროულად აცნობებენ ერთმანეთს.

* * *

18 მარტს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ენათმეცნიერისა და ლიტერატურათმცოდნის, თსუ-ის ყოფილი პროფესორის, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწის, პოეტისა და მწერლის მიხეილ ქურდიანის 60 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო გაიმართა.

საიუბილეო საღამოზე მიხეილ ქურდიანის ოჯახს თსუ-ს რექტორმა, აკადემიკოსმა ვლადიმერ პაპავამ გადასცა ივანე ჯავახიშვილის სახელობის მედალი, რომელიც მიხეილ ქურდიანს ქართველოლოგიისა და კავკასიოლოგიის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის თსუ-ს აკადემიურმა საბჭომ 2014 წლის 10 თებერვალს მიანიჭა.

მიხეილ ქურდიანის ხსოვნის აღსანიშნავად გაიმართა მისი ცხოვრებისა და მრავალმხრივი მოღვაწეობის ამსახველი ფილმის – „როცა კაცს უყვარს...“ (ავტორი: ჟურნალისტი ნინო კაკულია) ჩვენება. ღონისძიების ბოლოს მოეწყო მიხეილ ქურდიანის ლექსების, პოემებისა და წერილების ახალი კრებულის – „მარადიული სრბოლის ხმაურში“ პრეზენტაცია.

ღონისძიების ორგანიზატორი და საინფორმაციო მხარდამჭერი იყო გაზეთის „თბილისის უნივერსიტეტი“ რედაქცია.

* * *

19 მარტს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში თურქული ენის სახელმძღვანელოს პრეზენტაცია გაიმართა.

სახელმძღვანელო დაწერილია სპეციალურად ქართული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტებისათვის. თუმცა, წიგნით სარგებლობა შეუძლია თურქული ენის შესწავლით დაინტერესებულ ყველა პირს.

* * *

20 მარტს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა საქართველოში ყაზახეთის რესპუბლიკის სრულუფლებიანი და საგანგებო ელჩის ერმუხამეტ ერგისბაევის საჯარო ლექცია თემაზე: „ყაზახეთის გზა-2050: საერთო მიზანი, საერთო ინტერესები, საერთო მომავალი“.

* * *

20 მარტს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნვერსიტეტის ბიბლიოთეკასთან არსებული „შემეცნებითი კლუბის'' ორგანიზებით გაიმართა საჯარო ლექცია თემაზე: „უკრაინა დღეს''.

ლექცია წაიკითხა, თსუ–ს სრულმა პროფესორმა თეიმურაზ პაპასქირმა.

* * *

20 მარტს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გიორგი შენგელაიას მხატვრულ-დოკუმენტური ფილმის „ილია“ ჩვენება გაიმართა. ფილმი საზოგადო მოღვაწის ილია ჭავჭავაძის ცხოვრებასა და შემოქმედებას ეძღვნება.

თსუ რექტორის პირველი სტიპენდიატი

ზუსტ და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტი მარიამ გულბიანი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის ვლადიმერ პაპავას პირველი სტიპენდიატი გახდა.

თსუ რექტორის ინიციატივით, გასული წლის მიწურულს გადაწყდა დაარსებულიყო თსუ რექტორის სტიპენდია, რომელსაც უნივერსიტეტის ბაკალავრიატის საფეხურის საუკეთესო სტუდენტი მიიღებდა – ყველაზე მაღალი აკადემიური მოსწრების სტუდენტი, რომელიც სხვა რომელიმე სტიპენდიის მფლობელი არ იქნებოდა.

2013/14 სასწავლო წლის პირველ სემესტრში, მთელი უნივერსიტეტის მასშტაბით, ასპროცენტიანი აკადემიური მოსწრება 6 სტუდენტს ჰქონდა. რექტორის სტიპენდიის მიმნიჭებელი კომისიის გადაწყვეტილებით, გაზაფხულის სემესტრის სტიპენდიატი მარიამ გულბიანი გახდა.

მარიამ გულბიანი 1993 წლის 13 ივნისს ოზურგეთში დაიბადა. როგორც ამბობს, მისი ყველა წინაპარი უნივერსიტეტელია და, თანაც, სტიპენდიატი. ბებიისგან, რომელიც პროფესიით ეკონომისტია, ბავშვობიდან ისმენდა „ჯავახიშვილის“ ჯერ კიდევ იმ დროინდელ ისტორიებს, როდესაც მხოლოდ პირველი კორპუსი არსებობდა. ამიტომ, სკოლის დამთავრების შემდეგ, მარიამს სხვა უმაღლეს სასწავლებელში ჩაბარება არც უფიქრია.

„სკოლა ოქროს მედალზე დავამთავრე. ბავშვობიდან ვმონაწილეობდი სხვადასხვა ოლიმპიადაში, ვარ „ეტალონის“ ფინალისტი. ჩემი საყვარელი საგნები იყო ისტორია-გეოგრაფია და გადავწყვიტე ზუსტ და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე ჩამებარებინა. თსუ-ს გარდა სხვა უმაღლესში სწავლის გაგრძელება არც მიფიქრია. იმიტომ არა, რომ წინაპრები უნივერსიტეტელები მყავს. ოჯახი სასწავლებლის შერჩევაში არც ჩარეულა. მე მინდოდა ასე. თსუ მაინც სულ სხვაა,“ – ამბობს ჩვენთან საუბარში მარიამ გულბიანი.

უნივერსიტეტში მოხვედრის შემდეგ მარიამმა სწავლა ბიოტექნოლოგიის მიმართულებით დაიწყო, თუმცა მეორე კურსზე მიხვდა, რომ ეკოლოგია იყო მისი სფერო და მიმართულებაც შეიცვალა.

„ახლა ვფიქრობ, რომ თავიდანვე ეს მიმართულება უნდა ამერჩია, რადგან აქ არის ჩემი ადგილი. ბიოტექნოლოგიაზე სწავლის პერიოდში ლექციას გვიკითხავდა არნოლდ გეგეჭკორი, რომელიც არის ეკოლოგიის კურსის მთავარი ხელმძღვანელი. სწორედ მან ითამაშა დიდი როლი ჩემს არჩევანში. იმდენად საინტერესოდ მიჰყავს ლექციები, მივხვდი, კარგი იქნება თუ მომავალში ეკოლოგიის პროფესიას გავყვები. ეკოლოგიის ფაკულტეტზე გადმოსვლის შედეგად უფრო კარგად დავიწყე სწავლა. გამოცდებში მიღებული ქულებიდან გამომდინარე, ველოდი, რომ სტიპენდიას ავიღებდი, მაგრამ რექტორის პირველი სტიპენდიატი თუ გავხდებოდი, არ მეგონა. ნამდვილად მოულოდნელი იყო და ძალიან ბედნიერი ვარ“, – ამბობს მარიამი. რექტორის პირველი სტიპენდიატის ტიტულისთვის იგი მადლობას უხდის თსუ რექტორს ვლადიმერ პაპავას, ლექტორებს არნოლდ გეგეჭკორს, სიმონ წერეთელს, ნუგზარ დუმბაძეს და საკუთრ დეიდას, რომელსაც ასევე თსუ-ს ფიზიკის ფაკულტეტი აქვს დამთავრებული.

ბაკალავრიატის დამთავრების შემდეგ მარიამ გულბიანი სწავლის გაგრძელებას მაგისტრატურაში აპირებს, ისევ ეკოლოგიის მიმართულებით

„ვფიქრობ, გერმანიაში წავიდე სასწავლებლად, იქ კარგი პროგრამებია. იმედია, ოდესმე თსუ-შიც იქნება ეკოლოგიის მიმართულებით მაგისტრატურა“ – ამბობს იგი.

მარიამი იმაზეც საუბრობს, რომ, სამწუხაროდ, დღეს საქართველოს ეკო-ლოგია პრაქტიკულ დარგად არ ითვლება და უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას თსუ-ში ამ დარგისთვის მეტი ყურადღების მიპყრობასაც სთხოვს.

მარიამ გულბიანი რექტორის ხელფასიდან ყოველთვიურ სტიპენდიას – 250 ლარს ერთი სემესტრის განმავლობაში მიიღებს. მომავალი სტიპენდიატები კი ყოველ სემესტრში კომისიის მიერ შეირჩევიან. სტიპენდიატი სტუდენტი მაღალი აკადემიური მოსწრების გარდა დამატებით კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს – მონაწილეობა ჰქონდეს მიღებული სამეცნიერო კონფერენციებში, გამოქვეყნებული ჰქონდეს სამეცნიერო სტატიები და ა.შ.

ლაშა მითიაშვილმა ოთარ ჩხეიძის სახელობის სტიპენდია მოიპოვა

ოთარ ჩხეიძის სახელობის სტიპენდია 2014 წელს თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფილოსოფიის სამაგისტრო პროგრამის მაგისტრანტმა ლაშა მათიაშვილმა მოიპოვა. გადაწყვეტილება სტიპენდიის მიმნიჭებელმა კომისიამ 5 მარტს გამართულ სხდომაზე ხმათა უმრავლესობით მიიღო.

ლაშა მათიაშვილის თქმით, ამ მასშტაბისა და მნიშვნელობის სტიპენდია პირველად მიიღო. „სასიამოვნო და საპასუხისმგებლოა, როდესაც ასეთი გამორჩეული მწერლის სახელობის სტიპენდიანტი ხდები. პასუხისმგებლობა კი მავალდებულებს, რომ ინტელექტულური თვალსაზრისით სასტიპენდიო პერიოდი ნაყოფიერად გავატარო“, – აღნიშნავს სტიპენდიანტი.

მისივე თქმით, კონკურსში მონაწილეობა სპონტანურად და ყოველგვარი რაციონალური განსჯის გარეშე გადაწყვიტა, „დანიელი ფილოსოფოსის, სიორენ კირკეგორის თანახმად ხომ გადაწყვეტილების მიღების წამი სიგიჟეა. ამგვარი მყისიერება კი შესაძლო ხდომილებებისა და შედეგების გაუთვალისწინებლობასა და შემთხვევითობების ერთობლიობას გულისხმობს, რომლიდანაც იქსოვება და ყალიბდება ადამიანის მომავალი“, – ამბობს იგი.

ლაშა მათიაშვილმა კომისიას საკუთარი ნაშრომი „პოსტმოდერნული კულტურის ნიშნები“ წარუდგინა. ნაშრომი ეხებოდა კულტურისა და იდენტობის მოდერნული და პოსტმოდერნული პარადიგმებისა და ვარიაციების ანალიზს. იმას, თუ დიფერენცირებულ და ფრაგმენტულ სოციალურ სივრცესა და ზოგადად სამყაროში, იდენტობის კონსტრუირების როგორი პრაქტიკები არსებობს. „პირადად ჩემთვის, საინტერესოა ნებისმიერი ტექსტი და პრობლემა, რომელიც ფიქრისთვის ახალ ჰორიზონტსა და შესაძლებლობას გახსნის. მნიშვნელობა არ აქვს, იქნება ეს პლატონის „სახელმწიფო“ თუ პლატონოვის „ჩევენგური“ – აღნიშნავს იგი.

როგორც ამბობს, ოთარ ჩხეიძის შემოქმედებას ცოტა ხნის წინ, „არტისტული ყვავილებით“ გაეცნო. „ წიგნის კითხვა რთულია. საჭიროა ძალიან დიდი ნებისყოფა და შინაგანი ძალისხმევა მხატვრული თუ ფილოსოფიური ტექსტის გასაგებად. მისი სტილი, გადმოცემისა და თხრობის თავისებური ფორმა, ხშირი სასვენი ნიშნები და გამეორება, განცდის ინტენსიფიკაციას იწვევს. ხოლო პერსონაჟის სუბიექტურ-ემოციური სამყაროსა და სოციალური კონტექსტის კავშირი მკითხველს რომანში აღწერილი ეპოქის თვითმხილველად აქცევს“. მომავალში აპირებს ოთარ ჩხეიძის სხვა მხატვრული თუ პუბლიცისტური ნაშრომების წაკითხვას, რაც „მისი შემოქმედებისა და ნაგზრევის კომპლექსურ დანახვაში დაეხმარება“.

ოთარ ჩხეიძის სახელობის სტიპენდია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2008 წლის ბოლოს დაარსდა. მისი პირველი მფლობელები 2009 წელს თსუ მაგისტრანტები ანა კოპალიანი, გიორგი კეკელიძე და ოქტაი ქაზუმოვი გახდნენ. 2010 წელს სტიპენდია ანა ბაქანიძემ მიიღო, 2011 წელს – ინა იმედაშვილმა, 2012 წელს – ქეთევან სამადაშვილმა, ხოლო 2013 წელს – ანა კონდრატენკომ.

წლევანდელ კონკურსში 14 სტუდენტი მონაწილეობდა, მათ კომისიის წევრებს აღმოსავლური და ევროპული ენებიდან თარგმნილი ნამუშევრები, აგრეთვე, სამეცნიერო ნაშრომები წარუდგინეს. ფინალურ ტურში 7 წევრისგან შემდგარმა კომისიამ რექტორის, აკადემიკოს ვლადიმერ პაპავას ხელმძღვანელობით, 5 მონაწილეს შორის ლაშა მათიაშვილს მიანიჭა უპირატესობა.

ოთარ ჩხეიძის სტიპენდია წელიწადში ერთხელ ენიჭება ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მაგისტრატურის სტუდენტს, რომელიც გამოირჩევა განსაკუთრებული მიღწევებით აკადემიურ, სამეცნიერო, ლიტერატურულ-შემოქმედებით და მთარგმნელობით სფეროში. უნივერსიტეტის ადმინისტრაცია მადლიერებას გამოხატავს სტიპენდიის დამაარსებლის, ოთარ ჩხეიძის ქალიშვილის, ქალბატონ ნატო ჩხეიძის მიმართ.

გაზეთი მომზადდა თსუ საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის მიერ. საკონტაქტო ინფორმაცია – ტელ: 2 22 23 91; ელ.ფოსტა: tsupr@tsu.ge; ვებ-გვერდი: www.tsu.edu.ge